ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 13

27 იანვარი
"---" -------- 2015 წ

ქ. თბილისი

„ქ.თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა #1-ში მდებარე ტერიტორიაზე ააიპ ''საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღთან'' (ს/კ: 404405960) გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით უძრავი ქონების გადაცემის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის "დ.ე" პუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შეიტანოს ცვლილება ააიპ - ''საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღთან'' (ს/კ:404405960) გაფორმებულ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქონების გადაცემის ხელშეკრულებაში და ქ.თბილისის მთავრობის 14.06.13.წ. #18.50.737. დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული უსასყიდლო უზუფრუქტის საგნად განისაზღვროს: ქ.თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.02.001.017.) მდებარე დარეგისტრირებული 966452 კვმ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები: N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N 9,N10, N11, N12, N13, N14,N15, N16, N17, N18, N19, N20, N 21, N 22, N 23, N24, N25, N 26, N 27, N28 , N29, N30, N31, N32 და N33 ფართით - 293,58 კვმ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი